



საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობები

პროგრამის სახელწოდება

საერთაშორისო ურთიერთობები

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური

ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კვალიფიკაციის კოდი

საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი, 0312

სწავლების ენა

ქართული, ინგლისურენოვანი კომპონენტებით

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და სტუდენტთა ზღვრული ოდენობა

ერთიანი ეროვნული გამოცდები. საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე პირებს. პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის წესი. საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ შესაბამისად.

მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია, მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

შიდა მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია რეგულარულად თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.sangu.edu.ge.

საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განისაზღვრება 120 სტუდენტით.

სტრუქტურა და სწავლის ხანგრძლივობა

პროგრამის კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევასა და სწავლის შედეგად დარგის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე.

პროგრამაზე სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობაა 4 წელი. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 240 ECTS კრედიტი.

პროგრამა მოიცავს საუნივერსიტეტო საგნებს (42 კრედიტი), რომელთა მიზანია სტუდენტისათვის B2 დონეზე ინგლისური ენისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით აკადემიური კომუნიკაციის სწავლება.

სპეციალობის 22 სავალდებულო კურსს (132 კრედიტი), რომლებიც უზრუნველყოფს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში კომპლექსური ცოდნით აღჭურვილი, ანალიტიკურად მოაზროვნე სპეციალისტის მომზადებას.

სპეციალობის 7 არჩევით კურსს (42 კრედიტი, რომლიდანაც სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 12 კრედიტი). სავალდებულო კრედიტების დაგროვების შემდეგ, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, კრედიტები 240-მდე შეავსოს დამატებით სპეციალობის არჩევითი კურსებით და თავისუფალი არჩევითი კურსებით ან აირჩიოს გაიაროს დამატებითი (minor) სპეციალობა, უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ჩამონათვალიდან.

პროგრამის ხელმძღვანელი

ვალერი მოდებაძე, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი. ტელ. +995 599 27 69 99; ელ. ფოსტა: valerimodebadze@sangu.edu.ge

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანს წარმოადგენს პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება სტუდენტებისათვის, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა საშუალებას მისცემს სტუდენტებს დაეუფლონ ფართო ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობებში, შეისწავლონ საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკაში არსებული თეორიები, ცნებები, პრინციპები და კვლევის მეთოდები. ამ პროგრამის დასრულების შემდეგ მათ შეეძლებათ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების კრიტიკულად აღქმა და საერთაშორისო მოვლენების ანალიზი. ასევე, ამ პროგრამის მიზანს წარმოადგენს განუვითაროს სტუდენტს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების და სოციალური საკითხებისგან ანალიზების უნარი. პროგრამა მოიცავს საგნებს, რომლებიც მისცემს სტუდენტებს საფუძვლიან და კომპლექსურ ცოდნას პოლიტიკური, სოციალური, გლობალური, რეგიონალური პროცესებისა და პრობლემების შესახებ და განუვითარებს მათ ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევებს. სწავლის შედეგად შექმნილი უნარ-ჩვევებით სტუდენტებს შეეძლებათ ანალიტიკური სამუშაოს

განხორციელება და სწავლის შედეგად შეძენილი თეორიული ცოდნის გამოყენება პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას სხვადასხვა კვლევით ცენტრებში.

სწავლა-სწავლების ფორმები და სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სასწავლო კურსების ფარგლებში გამოიყენება სალექციო და სასემინარო მუშაობის მეთოდი. სასწავლო კურსების მიზნების მისაღწევად, კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში ასათვისებელი საკითხების შინაარსის და სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენება შესატყვისი მეთოდები და აქტივობები, რაც დეტალურად განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსით.

სწავლის შედეგები

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- 1) ანალიზებს კომპლექსურ პოლიტიკურ პროცესებს და/ან საერთაშორისო საკითხებს და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს;
- 2) მსჯელობს როგორც ეკონომიკურ და/ან საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებზე, ასევე სოციალურ საკითხებზე;
- 3) მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის საფუძველზე აკეთებს არგუმენტირებულ დასკვნებს სანდო და ვალიდურ წყაროებზე დაყრდნობით;
- 4) მონაწილეობს დებატებში და დისკუსიებში მსოფლიო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალურ და საკვანძო საკითხებზე;
- 5) იყენებს საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკაში არსებულ თეორიებს, ცნებებს, პრინციპებს, მეთოდებსა და მიდგომებს ნაშრომის მომზადებისას;
- 6) ფლობს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისა და აკადემიური წერის უნარებს;
- 7) იყენებს ინგლისურ ენას ზეპირი და წერიტი კომუნიკაციისათვის;
- 8) აქვს დამოუკიდებლად სწავლის უნარი, შეუძლია შესაბამისი ლიტერატურის და ელექტრონული მასალის დამოუკიდებლად მოპოვება;

9) პატივს სცემს პოლიტიკურ პლურალიზმს, ავლენს ტოლერანტულ დამოკიდებულებას განსხვავებული აზრისა და იდეების მიმართ.

სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა იყენებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით განსაზღვრულ და მის საფუძველზე დამტკიცებულ ქართულ უნივერსიტეტში მოქმედ შეფასების სისტემას. კერძოდ, კრედიტის მოპოვება შესაძლებელია სტუდენტის მიერ მხოლოდ შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ სტუდენტის მაქსიმალური საბოლოო შეფასება 100 ქულის ტოლია. საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს:

შუალედური შეფასება - 60 ქულა: ამ შეფასების კომპონენტებს სასწავლო კურსების სილაბუსი განსაზღვრავს.

დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით.

შეფასების სისტემა მოიცავს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას.

დადებითი შეფასებები:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა;

უარყოფითი შეფასებები:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. შენიშვნა: დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საბაკალავრო საფეხურის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს სწავლის გაგრძელებას განათლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელთა დაშვების წინაპირობაც ითვალისწინებს საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის დიპლომს.

დასაქმების სფეროები

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ შესაბამისი ცოდნა და უნარები რომ დასაქმდნენ როგორც სახელმწიფო დაწესებულებებში, ასევე - კერძო სექტორში და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებში.

ამრიგად, მათ შეუძლიათ მუშაობის დაწყება:

- სახელმწიფო დაწესებულებებში, სახელმწიფო მართვის ცენტრალურ, ადგილობრივ და მუნიციპალურ ორგანოებში;
- საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებში;
- სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, განსაკუთრებით ისეთ პოზიციებზე, სადაც მოითხოვება ანალიტიკური უნარ-ჩვევები;
- მედიაში – საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროფილის ჟურნალ-გაზეთებში;
- ყველა იმ დაწესებულებაში, სადაც მოითხოვება საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის ცოდნა.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსები აღჭურვილია მაღალი ხარისხის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.

შენობა ადაპტირებულია შშმ პირებისთვის, აღჭურვილია გამართული ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით, საევაკუაციო გეგმებით, თვალსაჩინოებებით, ცეცხლსაქრობით, შუქ-ხმოვანი სასიგნალო სისტემებით, ცენტრალური გათბობით, ფუნქციონირებს ლიფტი.

ფუნქციონირებს საგამოცდო დარბაზები, რომელიც აღჭურვილია მაღალი გარჩევადობის ვიდეო-სამეთვალყურეო აპარატურით და ელექტრონული აღრიცხვის სისტემით. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს სასწავლო კომპონენტების ფარგლებში გამოცდები ჩატარდება შესაბამის დარბაზში.

ლექციებისა და სემინარებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები აღჭურვილია სასწავლო მაგიდებით, სკამებით, დაფებით და თანამედროვე ტექნიკით (პროექტორი, პერსონალური კომპიუტერები, ჭკვიანი დაფები). სასწავლო აუდიტორიებში ყველა პერსონალური კომპიუტერი უზრუნველყოფილია ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფით. მათ შორის, სრულად ლიცენზირებულია მაიკროსოფტის ოპერაციული სისტემები და საოფისე პაკეტი. უცხოური ენების სწავლებისათვის გამოყოფილი აუდიტორიები ტექნიკურად აღჭურვილია აუდიო ფაილების გამშვები აპარატურით.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა სრულად არის განთავსებული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ამასთან, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები. უნივერსიტეტი არის საქართველოს ბიბლიოთეკების კონსორციუმის წევრი, რომელიც არის საერთაშორისო კონსორციუმის ELFE - ის წევრი. გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სტუდენტებს და პროგრამაში ჩართულ პერსონალს აქვს წვდომა საერთაშორისო მონაცემთა ბაზებზე და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ წიგნებზე.

უნივერსიტეტში შექმნილია სასიამოვნო და მყუდრო გარემო სტუდენტებისა და პროფესორ - მასწავლებლებისათვის.

დანართი 1 - სასწავლო გეგმა

პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მისანიჭებლად, აუცილებელია, სტუდენტმა დააგროვოს 240 კრედიტი ამასთან, ქვემოთ მოცემული პირობების დაცვით:

✓ სტუდენტმა უნდა აითვისოს საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე საოფისე ტექნოლოგიების, აკადემიური წერის და ინგლისური ენის B2 დონეზე დამლევას. ამისთვის, პროგრამაზე

ჩარიცხული ყველა სტუდენტი გაივლის ინგლისურ ენაში სადიაგნოსტიკო ტესტირებას და შესაბამისი დონიდან დაიწყებს სწავლას. ინგლისური ენის კომპონენტში დასაგროვებელი კრედიტები სტუდენტებისათვის განისაზღვრება არაუმეტეს 30 კრედიტით. თუ შესაბამისი დონის მიღწევა, მისი საწყისი დონის გათვალისწინებით, შესაძლებელია კრედიტების არა 30, არამედ ნაკლები მოცულობით, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, კრედიტების შესაბამისი მოცულობა შეავსოს თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებით.

✓ სტუდენტმა უნდა აითვისოს სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 132, ხოლო სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - არანაკლებ 12 კრედიტის ოდენობით;

სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, სურვილის შემთხვევაში, აირჩიოს დამატებითი (minor) პროგრამა, საუნივერსიტეტო მასშტაბით შეთავაზებული დამატებითი სპეციალობებიდან ან შესაბამისი კრედიტების მოცულობით, სასწავლო კურსები დააკომპლექტოს თავისი სურვილით, დამატებით სპეციალობის არჩევითი, თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებით, მათ შორის, სურვილის შემთხვევაში, აირჩიოს და შეისწავლოს მეორე უცხო ენა, მისთვის სასურველი დონით (A1-B2).

საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები (42 კრედიტი)

წინაპირობა	სასწავლო კურსი	ლექტორი	შემოდგომა	გაზაფხული
წინაპირობა არ აქვს	აკადემიური წერა	მანანა ტაბიძე, გავაშელი თინათინ, თურქია თინათინ.	6	
წინაპირობა არ აქვს	თანამედროვე საოფისე ტექნოლოგიები	თოფურია ნინო	6	
წინაპირობა არ აქვს	უცხოენა (ინგლისური)A1		6	
A1	უცხო ენა (ინგლისური)A2			6
A2	უცხო ენა (ინგლისური) B1		6	

B1	უცხო ენა (ინგლისური) B2			12
----	-------------------------	--	--	----

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები (132 კრედიტი)

წინაპირობა	სასწავლო კურსი	ლექტორი	შემოდგომა	გაზაფხული
წინაპირობა არ აქვს.	თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია	გელა ცაავა	6	
წინაპირობა არ აქვს.	მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია	ნოდარ გრძელიშვილი	6	
წინაპირობა არ აქვს.	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	ნინო წერეთელი	6	
წინაპირობა არ აქვს.	სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები	მარინა ლონდარიძე		6
წინაპირობა არ აქვს.	ეკონომიკის საფუძვლები	სიმონ (ამირან) თავართქილაძე		6
წინაპირობა არ აქვს	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	მარიამ ხატიაშვილი		6
წინაპირობა არ აქვს	საერთაშორისო ორგანიზაციები	ალექსანდრე რუსეცი	6	
წინაპირობა არა აქვს	კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	მირანდა აბრამიშვილი	6	
შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალური საკითხები	მაია მანჩხაშვილი		6
ეკონომიკის საფუძვლები	საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები	გურამ ჯოლია		6
შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში, პოლიტიკის მეცნიერების შესავალი.	გეოპოლიტიკა	ლევან ნიკოლეიშვილი		6
სახელმწიფოს და სამართლის საფუძვლები	საერთაშორისო სამართალი	ინგა ბერიძე	6	
შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	დიპლომატიის საფუძვლები	მაია მანჩხაშვილი	6	
პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	ევროკავშირის პოლიტიკა	ნოდარ გრძელიშვილი	6	
შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	ვალერი მოდებაძე		6

შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	ეროვნული უსაფრთხოება და დაზვერვა	თორნიკე შურდულაია		6
პოლიტიკის მეცნიერების შესავალი, შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში, ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.	Comparative Politics	ვალერი მოდებაძე	6	
ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.	Political and Social Studies	იორგ ჰარდი	6	
ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე	Sociology	გივიამაღლობელი	6	
შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	გადაწვეტილების მიღების პროცესი საგარეო პოლიტიკაში	ვალერი მოდებაძე		6
კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	პრაქტიკა	ვახტანგ მისაია		6
საბაკალავროპროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსების გავლა	საბაკალავრო ნაშრომი			6

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (სტუდენტმა უნდა აითვისოს არანაკლებ 12 კრედიტი)

წინაპირობა	სასწავლო კურსი	ლექტორი	შემოდგომა	გაზაფხული
პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	დემოკრატია და დემოკრატიზაცია	ვალერი მოდებაძე	6	
წინაპირობა არ აქვს.	საერთაშორისო და რეგიონალური კონფლიქტების ანალიზი და მათი რეგულაციის მეთოდები	ზვიად ტყაბლაძე	6	
წინაპირობა არ აქვს	საერთაშორისო ბიზნესი	გივიბედიანაშვილი		12
წინაპირობა არ აქვს.	ეფექტური მოლაპარაკებების წარმართვა	გურამ ჯოლია		6
წინაპირობა არ აქვს	საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემატიკა და ანალიზი	ზვიად ტყაბლაძე	6	

წინაპირობა არ აქვს	პოლიტიკური იდეოლოგიები	ვახტანგ მაისაია		6
ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე	Public Policy	ვალერი მოდებაძე	6	

თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები¹

წინაპირობა	სასწავლო კურსი	ლექტორი	შემოდგომა	გაზაფხული
წინაპირობა არ აქვს	ლოგიკა	ნაირა ბერია		6
წინაპირობა არ აქვს	დემოკრატია და სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტები ამერიკის შეერთებულ შტატებში	მარიამ ხატიაშვილი		6
წინაპირობა არ აქვს	ორატორული ხელოვნება	დავით ჩომახაშვილი		6
წინაპირობა არ აქვს	ციფრული ეკონომიკის საფუძვლები	გურამ ჯოლია	6	
წინაპირობა არ აქვს	პოლიტიკური კულტურა	ალიკა გუჩუა	6	
წინაპირობა არ აქვს	საქართველოს ისტორია	სერგო ვარდოსანიძე	6	
წინაპირობა არ აქვს.	კონფლიქტების მართვა	ზვიად ტყაბლაძე		6
წინაპირობა არ აქვს	ამერიკის შეერთებული შტატები და ახალი მსოფლიო წესრიგი	მარიამ ხატიაშვილი		6
ეკონომიკის საფუძვლები	მსოფლიო ეკონომიკა	სიმონ(ამირან) თავართქილაძე		6
წინაპირობა არ აქვს	რელიგიური ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში	დურმიშხან ლაშხი	6	
წინაპირობა არ აქვს	სოციალური პოლიტიკა	მზიაშელია	6	
შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	მრავალგანზომილებიანი მოლაპარაკების მეთოდები	ალექსანდრე რუსეცკი	6	

¹ სასწავლო კურსების ამ სახით შეთავაზებას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი. სტუდენტს ასევე შეუძლია, საკუთარი ინტერესის შესაბამისად გაიაროს ნებისმიერი სხვა სასწავლო კურსი/კურსები, თუ აკმაყოფილებს კურსზე დაშვების წინაპირობას. სტუდენტს შეუძლია დამატებითი სპეციალობის ნაცვლად, შეარჩიოს სხვა სასწავლო კურსები.

პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	თანამედროვე აზროვნების საფუძვლები	ვალერი მოდებაძე	6	
ეკონომიკის საფუძვლები	აშშ-ს და ევროპის ეკონომიკა	სიმონ (ამირან)თავართქილაძე		6
წინაპირობა არ აქვს	კავკასიის ხალხთა ისტორია	ბექან ხორავა		6
შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	პატარა ქვეყნები საერთაშორისო ურთიერთობებში	ნინო წერეთელი		6
პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	გლობალიზაცია და ნაციონალიზმი	ზვიად ტყაბლაძე	3	
პოლიტიკის მეცნიერების შესავალი შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	ძალის როლი საერთაშორისო პოლიტიკაში	ლევან ნიკოლეიშვილი	3	
საერთაშორისო ორგანიზაციები	ნატოს როლის საერთაშორისო ურთიერთობებში	ლევან ნიკოლეიშვილი	3	
პოლიტიკის მეცნიერების შესავალი, შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში.	კავკასიის გეოპოლიტიკა	ალექსანდრე რუსეცი	3	
A1/A2/B1	მეორე უცხო ენა (გერმანული/რუსული/ჩინური) A1/A2/B1/B2		6,6,6,12	6,6,6,12
წინაპირობა არ აქვს	საქართველოს თავდაცვითი პოლიტიკა	ლევან ნიკოლეიშვილი		6
საერთაშორისო ბიზნესი	კროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში	გივი ბედიანაშვილი		6
ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე	სახელმწიფოს კრიზისული სიტუაციების მართვა	გელა ცაავა		6
წინაპირობა არ აქვს	ქართულის სამართლის ისტორია	დავით ბოსტოლანაშვილი	6	
ეკონომიკის საფუძვლები	რეგიონული ეკონომიკა	ნოდარ გრძელიშვილი	6	
ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე	ბირთვული გაუფრცხვლებლობა და უსაფრთხოება	გელა ცაავა	6	
პოლიტიკის მეცნიერების შესავალი, ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე	ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო პოლიტიკა	ვალერი მოდებაძე		6
წინაპირობა არ აქვს	კონფლიქტები შორეულ აღმოსავლეთში	ჯაბა მესხიშვილი		6
თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია	XX საუკუნის მსოფლიო და საერთაშორისო ურთიერთობები	ნინო წერეთელი		6
პოლიტიკის მეცნიერების შესავალი, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.	თანამედროვე ირანის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში	მაია კაპანაძე	6	
შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	თანამედროვე თურქეთის საგარეო პოლიტიკა	მაია მანჩხაშვილი	6	
ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე	პოსტ-საბჭოთა ქვეყნების საგარეო პოლიტიკა	ვახტანგ მაისაია	6	
Comparative Politics	აშშ-ს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია	მარიამ ხატიაშვილი	6	

Comparative Politics	აშშ-ს თავდაცვისა და გლობალური უსაფრთხოების პოლიტიკა	თორნიკე შურლუღია		6
ეკონომიკის საფუძვლები	საქართველოს ეკონომიკა	ნოდარ გრძელიშვილი		6
ინგლისურიენისცოდნა B2 დონეზე	International Relations	თამარ ქარაზანიშვილი		6

დანართი 2 - სწავლის შედეგების რუკა

სასწავლო კურსი									
	1	2	3	4	5	6	7	8	9
აკადემიური წერა						✓		✓	
თანამედროვე საოფისე ტექნოლოგიები						✓			
უცხო ენა (ინგლისური)							✓		
თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია	✓		✓	✓	✓			✓	✓
პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	✓		✓	✓	✓			✓	
შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	✓		✓	✓	✓			✓	
ეკონომიკის საფუძვლები		✓							
მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია		✓		✓					
საერთაშორისო ორგანიზაციები	✓		✓	✓	✓			✓	✓
კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში		✓		✓	✓				
გეოპოლიტიკა	✓		✓		✓				
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები		✓	✓						

საერთაშორისო სამართალი	✓		✓	✓				✓	✓
Comparative Politics	✓		✓	✓	✓			✓	✓
Political and Social Studies	✓		✓	✓	✓			✓	✓
Sociology		✓						✓	✓
საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	✓		✓	✓	✓			✓	✓
ევროკავშირის პოლიტიკა	✓		✓	✓					
დიპლომატიის საფუძვლები	✓		✓	✓	✓				
გადაწვეტილების მიღების პროცესი საგარეო პოლიტიკაში	✓		✓	✓	✓			✓	✓
თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალური საკითხები	✓		✓	✓				✓	
ეროვნული უსაფრთხოება და დაზვერვა	✓				✓				
სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები			✓	✓					
პრაქტიკა	✓		✓		✓			✓	
საბაკალავრო ნაშრომი	✓		✓		✓	✓		✓	

დანართი №3

საგანმანათლებლო პროგრამაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა დაკავშირებულია თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკასთან და პროგრამის სტუდენტთა კონტინგენტთან და გამომდინარეობს შემდეგი მიდგომებიდან:

- საგანმანათლებლო პროგრამის ყოველ 50 სტუდენტზე გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ ერთი აფილირებული აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი;

- საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების ჯამური რაოდენობის არანაკლებ 51%-ის განხორციელება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალით.

პროგრამაში საკონტაქტო საათების ორგანიზების ზოგადი წესი:

- სალექციო ფორმატით საკონტაქტო საათის ორგანიზებისას სტუდენტთა ჯგუფების ფორმირებისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსების სპეციფიკა;

- პრაქტიკული მუშაობისა და სასემინარო მუშაობისათვის ჯგუფში სტუდენტთა მაქსიმალური, რეკომენდებული რაოდენობაა 30 სტუდენტი.

სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი, შესაბამისი კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, უფლებამოსილია, განსაზღვროს გამოსაყენებელი სწავლების მეთოდის შესაბამისად სტუდენტთა ზღვრული ოდენობა. ასეთის არსებობის, შემთხვევაში სტუდენტთა ოპტიმალური ოდენობის შესახებ ჩანაწერი კეთდება შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.